

დარგობრივი ენის სწავლების თეორიული საკითხები უმაღლეს სასწავლებლებში (გერმანული ენის მაგალითზე)

ქეთევან ფანცულაია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია:

ნაშრომი დარგობრივი უცხო ენის სწავლების საჭიროებების შესწავლას ეხება. ნაშრომი ფოკუსირებას ახდენს იმაზე, თუ რა საშუალებებით ხდება დარგობრივი ენის სწავლების დაუფლება უმაღლეს სკოლაში, როგორ აისახება ეს უცხო ენის სწავლებაზე და რა მახასიათებლებს ეყრდნობა.

საკვანძო სიტყვები: დარგობრივი ენა, დარგობრივი ენის სწავლების თეორია.

კვლევის მიზანი გახლავთ საქართველოში დარგობრივი ენის სწავლების საკითხების შესწავლა, მახასიათებლების დადგენა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება უცხო ენის დარგობრივი სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

თემის აქტუალობა ენის სწავლებისა და დარგობრივი ენის პრობლემისადმი შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია. ყველა პროგრამის საბაკალავრო საფეხურზე (10 კრედიტინი კომპონენტის პირობებში) ევროპული ენის სავალდებულო საგნად შეტანამ გაამძაფრა ინტერესი, თუ როგორ და ფორმით მოეთხოვება სტუდენტს დარგობრივი ენის დაუფლება.

ჩემმა საუნივერსიტეტო საქმიანობამ მომცა საშუალება მიქონოდა ურთიერთობა ბევრ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთან, რომელთა გამოკითხვამ და დაკვირვებამ გახადა საკითხი აქტუალური. ამ გამოწვევის გამო შევუდექი სამაგიდე კვლევის ფარგლებში გერმანულენოვანი უმაღლესი სასწავლებლების ენების ცენტრის კულტურის, სამეცნიერო წყაროების, გამოცდილების და უცხოენოვანი სტუდენტებისთვის შეთავაზებული ენის კურსების კვლევას.

სხვადასხვა ფაკულტეტის და მიმართულებების სტუდენტებთან, დარგობრივი უცხო ენის სწავლებისას, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სწავლების მიზანი, შინაარსი, მეთოდები, ხერხები და მათი გამოყენება.

ასევე აქტუალურია უცხო ენის გამოყენება საჭიროებისამებრ (დარგობრივად): უცხო ენაზე დარგობრივი თემატიკის საჭირო მასალის დამუშავება, შესაძლო ემოციების გამოხატვა, წაკითხულის გაგება, თარგმნა, თხრობა, ანალიზის უნარი.

ანგარიშგასაწევია მისი შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. უმაღლეს სკოლაში ენის კურსის ფარგლებში საჭიროა გაიმიჯნოს ენის სწავლებისას დარგობრივი ენის სწავლების დაუფლების კრიტერიუმები, გზები და საშუალებები. გასათვალისწინებელია, საზღვარგარეთ სწავლით დაინტერესებული სტუდენტებისთვის დარგობრივი ენის ცოდნის/კომპეტენციების გაუმჯობესება.

ენის სწავლისადმი დიდი ინტერესი საქართველოში სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და ენების ცენტრებში მე-20 საუკუნეში გამოჩნდა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი მეცნიერების მიერ დიდი მოცულობის სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებია ჩატარებული, სადაც ენის სწავლების საჭიროებები გახლავთ განხილული, სხვადასხვა

სამეცნიერო ჟურნალებში კი გამოქვეყნებულია სტატიების, მონოგრაფიებისა და სადოქტორო ნაშრომების სახით, რითაც დიდი წვლილი შეტანილი ენის სწავლებისა და მეთოდების პრობლემის გადაჭრის საქმეში.

ენის სწავლების დაუფლებისა და გამოყენების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების თანამედროვე და სამომავლო პრობლემური საკითხების წარმოსადგენად და მათი წარმატებით გადასაჭრელად აქტუალურია აღნიშნულ სფეროში მოძიებული, გადამუშავებული, სისტემაში მოყვანილი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ისტორიულ დამიმდინარე ასპექტში განხილვა-ანალიზი. სამწუხაროდ ამ შრომებში ძალიან მწირია ლიტერატურა და მასალებ იდარგობრივი ენისადმი სწავლების საკითხებთან დაკავშირებით.

კვლევითი ნაშრომის მეცნიერული სიახლეს - სალექციო პროცესში მოძიებული მასალების თავმოყრა ქრონოლოგიურად განლაგება, სისტემატიზაცია და სიახლეების დანერგვა წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველად ტარდება დარგობრივი ენის მახასიათებლების დადგენა და იმპლემენტაცია.

ნაშრომში განხილული იქნება დარგობრივი ენის სწავლებისა და ენის სწავლების პროცესის სხვადასხვა ქვეყნების (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია) უნივერსიტეტების და მის ბაზაზე არსებული ენების ცენტრის გამოცდილება, მიმდინარე პროცესი და დარგის სპეციალისტების საჭიროებები უცხო ენის სწავლებისას.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში დარგობრივი ენის სწავლების საკითხების დანერგვის, ენის თვისებების კვლევის მეცნიერული შესწავლის პირველ ცდას (მრავალფეროვანი გამოყენების ჭრილში), რომელიც საინტერესო და მნიშვნელოვანია ენის, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული შესწავლისას, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის საკუთარ სფეროში კომპეტენციების გასაუმჯობესებლად.

სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია ენის სწავლების თეორიები და ენის შესწავლის საფეხურები. უმაღლეს სკოლაში ენის სწავლების ძირითადი ასპექტების გათვალისწინებით შემუშავებული იქნება (რაოდენობრივი, თვისებრივი) კითხვარები. თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება მოგვცემს, უცხო ენის სწავლების განსხვავებული ასპექტით დანახვის შესაძლებლობას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს ენის სალექციო კურსის დარგობრივი ენის სწავლებითვის სხვადასხვა მიდგომას.

დარგობრივი უცხო ენის სწავლებისა და გამოყენების განხილვა-ანალიზის საფუძველზე შესრულებული ნაშრომი იქნება საჭირო რესურსი ენის და დარგის სპეციალისტებისათვის.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში დარგობრივი ენის სწავლების საკითხები: პედაგოგებისა და სტუდენტების დამოკიდებულება, განწყობა, მეთოდები და საჭიროებები.

გამოკითხვისას გამოყენებული კითხვარი სტუდენტთა პრობლემებს და ასევე დარგობრივი ენის სწავლებისადმი უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთა დამოკიდებულებას შეისწავლის. კვლევის ფოკუსში ექცევა უმაღლესი სკოლა, როგორც გარემო და ინსტიტუცია, უფრო კონკრეტულად, უცხო ენის (გერმანულენოვანი) მასწავლებლების/პედაგოგების, როგორც სოციალიზაციის პირველადი აგენტის დამოკიდებულება დარგობრივი ენის სწავლების საჭიროებებზე. ორივე კითხვარის შემუშავებას წინ უსწრებს ფოკუს ჯგუფებთან მუშაობა, პირველ შემთხვევაში სტუდენტებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში უმაღლესი სასწავლებლის ენების ცენტრის

პროფესორ/მასწავლებლებთან. პედაგოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებ აგანსაკუთრებით გამართლებულია ისეთი ტიპის კვლევისას, როგორცაა დარგობრივი ენის სწავლებისადმი დამოკიდებულებების კვლევა.

მიზნის შესასრულებლად შემდეგი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა არის საჭირო:

- დარგობრივი ენის სწავლების კვლევისთვის საჭირო ცნებების დაზუსტება;
- დარგობრივი ენის თეორიული მიდგომების განხილვა და კვლევისთვის შესატყვისი კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბება;
- დარგობრივი ენის შესასწავლი მეთოდოლოგიის შემუშავება,გამოყენება;

ცალკეული ფაკულტეტებისა და ენების ცენტრის თანამშრომლობით მასში ჩართული აკადემიური რესურსით, დარგობრივი ენის სწავლება მიზნადისახავს, ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემას სტუდენტის მომზადებისას და ითვალისწინებს დამსაქმებლის მოთხოვნებს. უმაღლესი სკოლა აგრეთვე უზრუნველყოფს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა დამოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისკენ.

დღეისათვის არსებული პრაქტიკა გულისხმობს - ტექსტის სხვადასხვაგვარი ფორმების, ფუნქციების, ანალიზისა და ინტერპრეტაციების, ენობრივი კომპეტენციის გაღრმავებას “საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს” ფარგლებში (ევროკომისიის მიერ შემუშავებული სკალირების შესაბამის (უცხო ენა C1 -დონემდე). მიმდინარე სალექციო მოდულების ფარგლებში უცხო ენის კურსი კი მიზნად ისახავს: - სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ლიტერატურის ტექსტების გაცნობას, ტექსტის ანალიზს, დარგობრივი და ლიტერატურული ფუნქციონალური ტექსტის პროდუქციის წარმოქმნის და რეცეფციის გაგების პროცესის წვდომას. გერმანული ენის სწავლების საკითხები ქართულ სინამდვილეში გულისხმობს მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობისა და ლინგვისტიკის თეორიულ სფეროებს, დარგობრივი ენის-ეკონომიკური, იურიდიული, დიპლომატიური, სამედიცინო სხვა დარგობრივი ენებისა და ტექსტების სპეციფიკის გათვალისწინების საჭიროება კი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

გერმანიასა და ავსტრიაში უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს ენის ცენტრები, რომელთა მიზანი ენის სწავლებასთან ერთად დარგობრივი ენის სწავლის ორგანიზებაა. ამ ცენტრებისთვის დამახასიათებელია ენის საკითხებზე მუშაობა დარგის საჭიროებებთან ურთიერთკავშირში.

დარგობრივი ენის სწავლებისთვის მნიშვნელოვანია თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება, სტუდენტებს ენების ცენტრი სხვადასხვა დარგობრივ ენებში მომზადებას სთავაზობს: ეკონომიკური ენა, სამედიცინო ენა, ბიზნესის ენა, მეცნიერული ენა, აკადემიური ენა, იურიდიული ენა და სხვა. ენების ცენტრის კონცეფცია გულისხმობს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ სწავლებასაც. ყურადღება ექცევა სხვადასხვა სახის პრაქტიკულ საკითხებსაც. ენების ცენტრი უნივერსიტეტის სტრუქტურაში დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც საკუთარ თავზე იღებს სასწავლო პროცესის ორგანიზებას. ენების ცენტრის მიზანია: სწავლებისა და სწავლის პროცესის შინაარსის განსაზღვრა, ენის ცოდნის დონეების განსაზღვრა, სწავლის წინაპირობების განსაზღვრა, სტუდენტთა მოთხოვნილებების გათვალისწინება

მათი ინტერესების დაკმაყოფილება. ენების ცენტრი არეგულირებს სააუდიტორიო მეცადინეობის განრიგს.

ჩვენი მიზანია სხვადასხვა ენების ცენტრებისა და ავტორებზე დაყრდნობით სალექციო კურსის ახლებური დაგეგმვა.

წარმოდგენილი თემის მიზანია, აგრეთვე, შევისწავლო გერმანული ენის სახელმძღვანელოები დარგობრივი ენის ტექსტებსა და სამუშაო მასალების კუთხით. ამ საკითხთან დაკავშირებით ვამუშავებ ახალ და ძველ გერმანული ენის სახელმძღვანელოებს, რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით- რა შინაარსის თემებია სახელმძღვანელოში და რა ენობრივი უნარ-ჩვევებზეა გამახვილებული ყურადღება.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი აღწერს დარგობრივი ენის სწავლების ძირითად მიზნებს, პრინციპებსა და კრიტერიუმებს დარგობრივი ენის სწავლების მუშაობის სახეობებს და სხვადასხვა ენათმეცნიერების მოსაზრებებს ამ სფეროში.

ლოთერ ჰოფმანის ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია დარგობრივი ენის კონტექსტზე დარგობრივი ენის სწავლების პროცესში, დარგობრივი ტექსტებისა და შინაარსის მასალის გამოყენებაზე -სტრუქტურული ქვედანაყოფების თანმიმდევრულობაზე და ერთიანობაზე, შესასწავლი თემის შესახებ კომუნიკაციაზე. მისი აზრით დარგობრივი ენის სწავლების პროცესი ლინგვისტური რესურსების ჯამია, რომელიც უზრუნველყოფს ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს შორის კონსტრუქციულ კომუნიკაციას [ლოთერ ჰოფმანი 1996]. დარგობრივი ენის სწავლების საჭიროებებისათვის ჰოფმანი გვთავაზობს ამ სფეროსათვის განსაზღვრულ და შესაბამის თემატიკას: „დარგობრივი ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ტერმინებისა და უცხო სიტყვების დამუშავება, რომლებიც ძალიან იშვიათია ენის შესწავლის სტანდარტული სალექციო კურსის ფარგლებში. დარგობრივი ენა განსხვავდება სასაუბრო ენისგან, სადაც დომინანტია აკადემიური და მიზნობრივი სფეროს ტერმინოლოგია, ტექსტის შესაბამისობის აღქმა, სიტუაციურად ადეკვატური ენობრივი და ვიზუალური საშუალებები, როგორცაა : სიმბოლოები, ფორმულები, განტოლებები, გრაფიკული გამოსახულებები დამინიშნებები. აგრეთვე, კონკრეტულ ფაქტები, ლოგიკური სრუქტურები, ლოგიკური თანმიმდევრობა, დიდი დოზით სემანტიკური და სინტაქსური განმარტებების ნაცვლად.“

დარგობრივი ენის სწავლების პროცესი მხოლოდ პრაქტიკულად განსხვავდება ტრადიციული ენის კურსის სწავლისგან, სტუდენტები ეჩვევიან პრაქტიკული აქტივობებითა და ქმედებაზე ორიენტირებულ მუშაობას რის შედეგადაც ითვისებენ უცხოურ ენაზე დარგისთვის საჭირო მასალის დაუფლებას, დარგის ენის სწავლება ენების ცენტრის პრაქტიკიდან გამომდინარე წინა რიგებში აყენებს სტუდენტის ინტერესებს. საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეზედაკვირვება- ანალიზი გვიჩვენებს რომდარგობრივიენის სწავლისადმი ინტერესიიზრდება,უმალესი სასწავლებლის დისციპლინებში სასწავლო გეგმაში დარგობრივი ენის საწვლების საკითხების შეტანა ხელს შეუწყობს უცხოური ენის უკეთ შესწავლასა და საჭიროებებისამებრ გამოყენებას.

ამ ეტაპზე მოძიებული ენათმეცნიერების ნაშრომებში, გამოყოფილია დარგობრივი ენის მნიშვნელობა, გამოკვეთილია კავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის, რაც მომავალი სპეციალისტებისთვის ენის კომპეტენციის ინდიკატორია.

ფრიც კლემენს ვერნერი დარგობრივი ენის სწავლების ელემენტების ფაზებს განმარტავს, სიტუაციისა და სალექციო კურსის ამოცანების მიხედვით. ტერმინების და სამუშაო მასალის მიწოდება სხვადასხვა დარგის დისციპლინების ტექსტების განხილვითა და აქტივობებით ხორციელდება, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება განსხვავებული სწავლების მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დარგობრივ ტექსტზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური მუშაობის მეთოდი, (Case study) შემთხვევის ანალიზის მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი და სხვა. (Fritz Clemen Werner Woerterelemente Fachausdruecke .1997.)

როლკეს ნაშრომი „დარგობრივი ენა/Fachpsrache/“(Thorsten Roelcke „Fachpsrache“1997). ერთგვარი იმპულსია ენის სწავლების საჭიროებებისა და მოთხოვნების გასააზრებლად, სადაც დარგობრივი ენის სწავლების საჭიროება დროის მოთხოვნას შეესაბამება. ნაშრომში როლკე ენის სწავლების სალექციო კურსის თავისებური მოდელი შემოგვთავაზა. იგი მოიცავს აქტივობებს, რომელიც დარგის სპეციალისტისთვისაა საჭირო. მან ენის სწავლების პრობლემები გამოყო: რამდენად პრობლემურია დარგობრივი ენის სწავლება? და რამდენად აქტუალურია პრობლემა? (Thorsten Roelcke „Fachpsrache“1997) – „დარგობრივი ენის თემები უნდა მოიცავდეს დარგის ტერმინების გამოყენების ტექნიკებს და ხელს უწყობდეს ინტერდისციპლინარულ მუშაობას პრაქტიკული ქმედებების ინტეგრირებით“ - (Thorsten Roelcke: Fachsprache 2005). დარგობრივი ენის სწავლის პროცესი უნდა შეიცავდეს სხვადასხვა ფაზებს: მიზნის განსაზღვრას, დაგეგმვასა და შედეგების ანალიზს (Thorsten Roelcke ,Zeitschriften Datdenbnk 2004).

ჰოფმანისაგან გასხვავებით, რომელიც დარგობრივ ენას განიხილავს როგორც ენის სწავლების ნაწილს, როლკესთან დარგობრივი ენის სწავლების საკითხი უფრო კონკრეტულია, ეყრდნობა დარგობრივი ტექსტებისა და ტერმინოლოგიების გამოყენებას. იგი გვთავაზობს დარგობრივი კრიტერიუმებისა და ამოცანების, სტუდენტების ინტერესების, სპეციალობებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებას.

დასკვნა:

უცხო ენის სწავლებას მოსდევს გამოყენების ეტაპი, უცხო ენის სალექციო კურსში უნდა მოხდეს საკითხების გაცნობის, ამოცანების დადგენის, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხების ქმედების ფორმების განსაზღვრა. სასწავლო აქტივობები შესაძლებელია მესრულდეს პატარა ჯგუფებში. ინტერაქტიული პროექტებით მუშაობა ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, დარგობრივი ენის პრაქტიკაში გამოყენების გზაზე. კვლევითი ნაშრომების ანალიზი, პრაქტიკული მაგალითებით დაგვეხმარება დარგობრივი ენის სწავლების უპირატესობის დადგენაში უცხო ენის სწავლებისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Sippel, Vera A. (2003): Ganzheitliches Lernen im Rahmen der Simulation. Grundlagen – Erfahrungen – Anregungen, *Gießener Beiträge zur Fremdsprachendidaktik*. 2003.
2. DUDEN. 2012. *Redensarten* Mannheim, Wien, Zürich.
3. FLUCK, H. R. 1979. *Einführung in die Fachsprachen und Didaktik*. Heidelberg: DTP, S. 58. HOFFMANN, L. 1996. *Kommunikationsmittel Fachsprache. Eine Einführung*. Tübingen
4. Thom, Norbert (2007): Die Fallstudie als didaktisches Instrument, In: Thom, Norbert / Wenger, Andreas P. / Zaugg, Robert J. *Fälle zu Organisation und Personal. Didaktik. Fallstudien. Lösungen. Theoriebausteine*. Bern.
5. Buhlmann, Rosemarie / Fearn, Anneliese (1999): *Handbuch des Fachsprachenunterrichts*, Tübingen.
6. Dorsch, Monique (2003): *Wirtschaft. Fallstudien mit Lösungen*. Oldenburg.
7. Eisman, Volker (2001): *Wirtschaftskommunikation Deutsch. B 2*. Berlin, München.
8. Fearn, Anneliese / Levý-Hillerich, Dorothea (2009): *Kommunikation in der Wirtschaft. Lehr- und Arbeitsbuch*. Berlin.
9. Thorsten Roelcke, *Zeitschriften Datenbank* 2004).
10. Fischer, Johann (2007): Der Einsatz von Fallstudien im Fachsprachenunterricht. Eine Brücke zwischen Sprachunterricht und fachlicher Ausbildung. In: Kiefer, Karl-Hubert / Fischer, Johann / Jung, Matthias / Roche, Jörg (Hrsg.) München.
11. Fritz Clemen Werner: *Woerterelemente Fachausdrücke* .(1997.)
12. Thorsten Roelcke „*Fachsprache*“.(1997).
13. Heyd, Gertrud (1998): *Fachsprache Wirtschaftswissenschaften, Lehrbuch und Arbeitsbuch*. Wiesbaden.

Article received 2021-11-26